

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

შპს გირტეკა ბიზნეს სერვისები

31 დეკემბერი 2024



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
ახსნა განმარტებითი შენიშვნები	8

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „გირტეკა ბიზნეს სერვისები“-ს დამფუძნებელს

ჩვენ შევადგინეთ შპს „გირტეკა ბიზნეს სერვისები“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) – „კომპილაციური გარიგებები“ – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

პაატა შურღია

მმართველი პარტნიორი

30 სექტემბერი, 2025



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,599,806	192,122	32,062
		1,599,806	192,122	32,062
მიმდინარე აქტივები				
გაგეზული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		414,944	311,154	3,526
მარაგები		1,692	8,030	4,706
საგადასახადო აქტივი		-	25,435	14,252
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,910,434	1,976,695	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	252,685	75,652	12,517
		2,579,756	2,396,966	35,001
სულ აქტივები		4,179,561	2,589,088	67,063
კაპიტალი და ვალდებულებები				
გაუნაწილებელი მოგება		1,931,943	347,868	4,047
		1,931,943	347,868	4,047
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	81,081	107,948	35,260
საგადასახადო ვალდებულებები		10,478		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		8	4,846	5
მიღებული ავანსი		2,156,051	2,128,426	27,751
		2,247,618	2,241,220	63,016
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,179,561	2,589,088	67,063

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს:

თამარ სეთური
დირექტორი

Signed by:
Tamar Seturi: 22c76d3a-bde7-4070-855d-149dce2 ...
Tamar Seturi
Certified by Signify

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-15 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	7	15,314,341	7,355,149	718,782
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-	-	-
		15,314,341	7,355,149	718,782
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(5,053)	(168)	-
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(13,382,443)	(6,679,183)	(700,023)
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი		(130,324)	(23,704)	(1,662)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(130,465)	(248,300)	(50)
		1,666,056	403,793	17,047
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(82,695)	(59,972)	(13,000)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		715	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		1,584,075	343,821	4,047
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	-
წლის მოგება/(ზარალი)		1,584,075	343,821	4,047
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		1,584,075	343,821	4,047

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს:

თამარ სეთური
დირექტორი

eSigned by:
Tamar Seturi: ad64a675-96dd-4076-8b0e-784aa...
Tamar Seturi
Certified by Signify

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-15 გვერდებზე)
ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	აკუმულირებული მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	4,047	4,047
სულ წლის სრული შემოსავალი	4,047	4,047
2022 წლის 31 დეკემბერი	4,047	4,047
წლის მოგება/(ზარალი)	343,821	343,821
სულ წლის სრული შემოსავალი	343,821	343,821
2023 წლის 31 დეკემბერი	347,868	347,868
წლის მოგება/(ზარალი)	1,584,075	1,584,075
სულ წლის სრული შემოსავალი	1,584,075	1,584,075
2024 წლის 31 დეკემბერი	1,931,943	1,931,943

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს:

თამარ სეთური
დირექტორი

eSigned by:
Tamar Seturi: ac46d577-4bb9-463c-ad49-576806 ...
Tamar Seturi
Certified by Signify

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-15 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება მოგების გადასახადამდე	1,584,075	343,821	4,047
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	130,324	23,704	1,662
წმინდა საკურსო სხვაობა	82,695	59,972	13,000
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,797,095	427,497	18,709
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	66,261	(1,976,695)	-
ცვლილება წინასწარ გადახდებში და სხვა მოკლევადიან აქტივებში	(78,355)	(318,811)	(17,778)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(31,705)	77,529	35,265
ცვლილება მიღებულ ავანსში	27,625	2,100,675	27,751
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	10,478	-	-
ცვლილება მარაგებში	6,338	(3,324)	(4,706)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,797,737	306,871	59,241
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,797,737	306,871	59,241
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული	(1,538,007)	(183,765)	(33,724)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,538,007)	(183,765)	(33,724)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა			
ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	75,652	12,517	-
სავალუტო კურსის უფექტი	(82,695)	(59,972)	(13,000)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	252,686	75,652	12,517

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს:

თამარ სეთური
დირექტორი
eSigned by:
Tamar Seturi: 62042626-405-4851-9311-dc2064...
Tamar Seturi
Certified by Signify

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-15 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი იფორმაცია

შპს „გირტეკა ბიზნეს სერვისები“ („კომპანია“) დაარსდა 2022 წლის 20 მაისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 405534523; რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

შპს „გირტეკა ბიზნეს სერვისები“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომპლექსური საოფისე ადმინისტრაციული მომსახურების საქმიანობები, ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის კოდით 82110. შპს გირტეკა ბიზნეს სერვისები არის უცხოური საწარმოს, დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „Girteka Group UAB“-ის (ს/ნ 304869444, ლიეტუვა) შვილობილი კომპანია, კომპანიის ძირითადი საქმიანობას შეადგენს, მიაწოდოს საოფისე და ადმინისტრაციული მომსახურება „Girteka Group UAB“-თან დაკავშირებულ და მის ჯგუფში შემავალ სხვა შვილობილ კომპანიებს. აღნიშნულ სერვისებში შედის ისეთი მომსახურებები, როგორიცაა, ფინანსები, ბუღალტერია, IT და SAP დეველოპმენტი, ადამიანური რესურსების მართვის სერვისი და სახელფასო აღრიცხვის სერვისი. ყველა აღნიშნული სერვისის მიწოდება ხდება საზღვარგარეთ, არარეზიდენტი კომპანიებისთვის. კომპანიის 100% ფლობს „Girteka Group UAB“, რომელიც ორგანიზებულია ლიეტუვის რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ხელმძღვანელები / ოფიციალური წარმომადგენლები

- დირექტორი - თამარ სეთური.

2024 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 212 თანამშრომელია.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ („ბასს“). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ

ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-11 შენიშვნაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება "Girteka Group UAB"-ის ჯგუფური პოლიტიკის შესაბამისად, რაც მოიაზრებს შემდეგს: შეძენილი/აღრიცხვაზე აყვანილი ნივთი აღიარდება ძირითად საშუალებად, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის (ერთი ერთეულის) თვითღირებულება არანაკლებ 500 ევროა აყვანის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად დამტკიცებული კურსით და ასევე ჯდება საქართველოში აღიარებული საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის მიხედვით ძირითადი საშუალებების განმარტებაში.

შპს "გირტეკა ბიზნეს სერვისებმა" და შპს "იბერკომპანიმ" გააფორმეს იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს "გირტეკა ბიზნეს სერვისებმა" 2023 წლის ნოემბრიდან დაიწყო, ხელშეკრულებით განსაზღვრული, თბილისში მდებარე უძრავი ქონების კეთილმოწყობა. ეს პროცესები სრულად დასრულდა 2024 წლის მეოთხე კვარტალში. აღნიშნულ კეთილმოწყობაზე გაწეული ხარჯები 2024 წელს გადაკლასიფიცირდა და სათანადოდ კაპიტალიზდა აქტივად. შესაბამისად, ისინი აღიარებულია იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ხარჯებად და ექვემდებარება ამორტიზაციას IFRS-ის პრინციპების შესაბამისად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწრიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწრილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება

მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვთვის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვთვის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

3.3 წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.4 ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი და საბანკო ნაშთები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებს.

2024 წლის ბოლოს კომპანიის საქართველოს საბანკო ანგარიშზე იყო 252,685.39 ლარი, რაც იყო დაახლოებით 86,223 ევროს ან 90,026 დოლარის ექვივალენტი.

3.5 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერის შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკუმულირებული ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ ზარალს.

ღივიდნდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულია.

3.6 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება ღივიდნდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა ღივიდნდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (ღივიდნდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი

ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია კორპორაციული სამემოსავლო გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია წინა მოდელის მიხედვით გადანაწილებულ მოგებაზე.

კორპორაციული შემოსავლების დაბეგრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი განსხვავებები არ არსებობს. ამრიგად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 სამემოსავლო გადასახადი, არ ფორმირდება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.

გამომდინარე იქედან რომ შპს „გირტეკა ბიზნეს სერვისები“ არ სარგებლობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არცერთი საშუალო მოგების დასაბეგრი საპროცენტო განაკვეთით, იგი სხვა საქართველოში რეგისტრირებული შუალედური პასუხისმგებლობის საზოგადოებების მსგავსად იბეგრება 15% მოგების გადასახადით ნებისმიერ განაწილებულ დივიდენდზე.

3.7 თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომლის სარგებელი არის სარგებელი, რომელიც მოსალოდნელია სრულად დაფარული წლიური საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტ თვემდე, რომელშიც თანამშრომლები გაწევენ შესაბამის მომსახურებას და მოიცავს:

- ჯილდოებს, ხელფასებსა და ბონუსებს
- ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებებს
- ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებას და ბიულეტენის
- ჯანმრთელობის დაზღვევა;

როდესაც თანამშრომლები მომსახურებას უწევენ კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებლის არაპროგნოზირებულ თანხას, რომელიც მოსალოდნელია გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

- როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოქვითვის შემდეგ. თუ უკვე გადახდილია თანხა გადაჭარბებს სარგებლის არა დისკონტირებულ რაოდენობას, კომპანიამ უნდა აღიაროს ეს ჭარბი აქტივი (წინასწარ გადახდილი ხარჯი) იმდენად, რამდენადაც წინასწარი გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულად ანაზღაურებას.
- ხარჯის სახით, თუ თანხა არ შედის აქტივის ღირებულებაში.

2025 წლის ბოლოს კომპანიის მიერ თანამშრომლებისთვის გადახდილი სარგებლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 11,176,618 ლარი.

3.8 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას ან მისაღებ საქონელს.

შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, შემოსავლების, ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გარეშე და ჯგუფში გაყიდვების აღმოფხვრის შემდეგ.

კომპანიას 2022 წლის პირველი ივნისიდან „Girteka Group UAB“-თან გაფორმებული აქვს სერვისის მიწოდების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ „Girteka Group UAB“ ყოველთვიურად გადაუხდის შპს „გირტეკა ბიზნეს სერვისები“-ს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას. შპს „გირტეკა ბიზნეს სერვისები“ ახორციელებს სახელშეკრულებო მომსახურებას ჯგუფის კომპანიებთან და შემოსავალი პირდაპირ დამოკიდებულია ამ სერვისების შესასრულებლად დახარჯულ საოპერაციო გაწეულ ყოველთვიურ ხარჯებზე (OPEX-ზე).

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	იჯარით აღებული ქონების კუთვლილობა	ავაჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ჯამი
დირებულება				
31 დეკემბერი 2022		-	33,724	33,724
შეძენები	-	-	183,765	183,765
31 დეკემბერი 2023		-	217,488	217,488
შეძენები	1,030,310	72,829	434,868	1,538,007
31 დეკემბერი 2024	1,030,310	72,829	652,357	1,755,495
დატოვებული ცვეთა				
31 დეკემბერი 2022	-	-	1,662	1,662
ცვეთა 2023	-	-	23,704	23,704
31 დეკემბერი 2023	-	-	25,366	25,366
ცვეთა 2024	27,947	7,915	94,461	130,323
31 დეკემბერი 2024	27,947	7,915	119,827	155,689
წმინდა საბალანსო დირებულება				
31 დეკემბერი 2022	-	-	32,062	32,062
31 დეკემბერი 2023	-	-	192,122	192,122
31 დეკემბერი 2024	1,002,363	64,914	532,529	1,599,806

2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უძრავი ქონება და ინვენტარი არ იყო გამოყენებული ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. ამორტიზაციის ხარჯი მთლიანად განისაზღვრა აღმინისტრაციულ ხარჯებში.

5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საბანკო ანგარიში	252,685	76,449	12,517

იმ ვალუტებისთვის, რომლებშიც ბანკის ნაშთებია დენომინირებული, იხილეთ ქვემოთ მოცემული შენიშვნა:

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	63,128	282	2,841
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში (EUR)	189,558	75,370	9,676
	252,685	75,652	12,517

6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
რეზიდენტი კომპანიები	61,305	107,755	35,260
არარეზიდენტი კომპანიები	19,776	193	-
	81,081	107,948	35,260

7 შემოსავალი

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საბუღალტრო მომსახურება	1,791,280	575,672	-
ფინანსური მომსახურება	1,401,189	639,306.08	-
HR მომსახურება	-	193,819	86820.44
IT განვითარების სერვისები	-	1,807,781	631961.41
IT განყოფილების სერვისები	1,978,039	837,130	-
IT განყოფილების/SAP სერვისები	2,246,575	767,569	-
სხვა	298	776,829	-
ადამიანური და კულტურის სერვისები	830,907	1,757,043	-
ხელფასების და სხვა პირდაპირი ხარჯის სერვისები	7,066,054	-	-
	15,314,341	7,355,149	718,782

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შპს „Girteka Business Services“ ოპერაციული თვის განმავლობაში უზრუნველყოფს მომსახურებას, ხოლო შემოსავალი აღირიცხება და გამოიწერება ანგარიშგაქტურით საოპერაციო ხარჯებზე დანამატით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის მიერ შესრულებული მომსახურების ღირებულება და მის მიერ გაწეული ხარჯები გათვალისწინებულია მიმდინარე თვის განმავლობაში.

8 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
601100 - თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	11,176,618	5,306,053	369,890
გადაყვანის ხარჯები	-	-	17,607
601101 - საპენსიო ხარჯი	220,126	102,610	7,292
621208 - იჯარის ხარჯი	776,773	450,834	57,646
საოფისე ხარჯი	489,752	312,870	24,558
საკომუნიკაციო ხარჯები	107,687	32,230	-
დაზღვევის ხარჯი	177,734	78,256	-
601904- სამივლინებო ხარჯი	416,521	198,058	49,849
611901 - საკონსულტაციო ხარჯი	109,034	110,917	24,899
საკანცელარიო ხარჯები	37,371	19,093	707
საწვავის ხარჯები	3,786	3,317	1,193
სხვა საგადასახადო ხარჯები	1,121	107	-
611803 - ბანკის საკომისიო	13,021	10,299	2,639
607003 - ადამიანური რესურსების მომსახურების ხარჯები	5,267	54,539	43,514
611902 - თარგმნის მომსახურების ხარჯები	-	-	780
611630 - პროგრამებისა და ლიცენზიების ხარჯი	-	-	99,448
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(152,369)	-	-
	13,382,443	6,679,183	700,022

9 სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნარჩენების მართვის ხარჯები	29,485	1,044	50
საკანცელარიო ინვენტარის მიწოდების ხარჯები	547	77	-
E-product ხარჯები	4,841	5,417	-
საკანცელარიო ინვენტარი	59	-	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	-	234,076	-
საოფისე ინვენტარი	1,678	-	-
სპონსორობის ხარჯები	3,857	3,800	-
Membership ხარჯები	3,291	1,750	-
ტაქსით მგზავრობის ხარჯები	3,289	746	-
ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯები	32,035	1390	-
უსაფრთხოების ხარჯები	15,136	-	-
მარკეტინგული მასალები	16,859	-	-
თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯები	19,388	-	-
	130,465	248,300	50

10 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

10.1 ვარაუდი ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, ვინაიდან მენეჯმენტს არ აქვს არც განზრახვა და არც საჭიროება კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

11 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს შორის არიან მისი მშობელი კომპანია და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვები. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა ორი ტიპის ოპერაცია დაკავშირებულ მხარეებთან.

- **მომსახურების მიწოდება:** შპს “გირტეკა ბიზნეს სერვისები” მომსახურებას აწვდის ხელშეკრულების საფუძველზე “Girteka Group UAB”-ს და მის ქოლგის ქვეშ გაერთიანებულ შვილობილ კომპანიებს. 2024 წელს, ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 15,314,341 ლარი.

- **იმპორტირებული ტექნიკა:** შპს “გირტეკა ბიზნეს სერვისები”-მა, მისთვის საჭირო კომპიუტერული თუ სმარტ ტექნიკის შემოსატანად განაზოგციელა, აღნიშნული საქონლის იმპორტი ლიეტუვის რესპუბლიკიდან საქართველოში.

11.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიის 100%-იანი მეწილე და დამფუძნებელია "Girteka Group UAB". კომპანიის დაკავშირებულ მხარეებში შედის მისი მშობელი საწარმო და ძირითადი ხელმძღვანელობა.

12 შემდგომი მოვლენები

2023 წლის 12 აპრილს შპს „Girteka Business Services“-მა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, „აწარმოე საქართველოში“, გააფორმა ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კომპანიას დაეკისრა კონკრეტული საინვესტიციო მიზნების შესრულება და განსაზღვრული რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა. პროგრამის ფარგლებში, კომპანიამ უნდა გაზარდოს თანამშრომელთა რაოდენობა სულ 400-მდე, რათა დააკმაყოფილოს პროგრამის მოთხოვნები და მიიღოს 413,910 ლარის ოდენობის ფინანსური გრანტი.

როგორც შემდგომი მოვლენა 2024 წლის დასრულების შემდეგ, კომპანიამ წარმატებით დაასრულა „აწარმოე საქართველოში“ პროექტის პირველი ეტაპი და ჩაატარა აუდიტი, რათა წარედგინა საწყისი დოკუმენტაცია „აწარმოე საქართველოში“-ს თავისი ვალდებულებების დასადასტურებლად.